

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 იანვრის N 01-20 ოქმით

აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა

დატვირთვა სრულ განაკვეთზე შეადგენს წელიწადში არაუმეტეს 1760 საათს (კვირაში 40 საათს 44 კვირის განმავლობაში) და მოიცავს სასწავლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კონსულტაციებსა და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას. სასწავლო დატვირთვა არ აღემატება კვირაში 20 საათს, სამეცნიერო საქმიანობა არანაკლებია 10 საათზე, საუნივერსიტეტო საქმიანობა არ აღემატება 10 საათს.

წარმოდგენილი საათობრივი განაწილება აქტივობების მიხედვით არ არის იმპერატიული. კონკრეტული აქტივობის კომპლექსურობის და პერსონალის სხვა უსდ-(ებ)ში დატვირთვის გათვალისწინებით, უნივერსიტეტსა და პერსონალს შორის შეთანხმების საფუძველზე, ყოველი სემესტრის დასაწყისში კორექტირდება პერსონალის დატვირთვა, რათა პერსონალმა სათანადოდ შეძლოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

სასწავლო საქმიანობა, რაც მოიცავს სააუდიტორიო დატვირთვას, ლექციისა და ცოდნის შემოწმების კომპონენტების მომზადებას, სტუდენტის ნაშრომების გასწორებას (ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს ახალი სასწავლო პროგრამის, მოდულის თუ პროგრამის ცალკეული კომპონენტის შემუშავებას).

№	სასწავლო საქმიანობა	საათი	ერთეული
1	სააუდიტორიო დატვირთვა (საკონტაქტო საათები)	2-3	1 ლექცია/სემინარი/ლაბორატ.
2	სააუდიტორიო მუშაობისთვის მომზადება	1	1 სალექციო ჯგუფზე კვირაში
4	შუალედური შეფასების საკითხების/დავალების/აქტივობის ახალი ვარიანტების მომზადება	8	1 სალექციო ჯგუფზე
5	დასკვნითი გამოცდის საკითხების/დავალების/აქტივობის ახალი ვარიანტების მომზადება	3	1 სალექციო ჯგუფზე
6	წერილობით შესრულებული ქვიზის/საშინაო დავალების/სემინარზე დაგეგმილი სხვა გამოკითხვის ფორმის შემოწმება	0.16	1 ნაშრომზე
7	წერილობით შესრულებული შუალედური გამოცდის საკითხების/დავალების შემოწმება	0.5	1 ნაშრომზე
8	წერილობით შესრულებული დასკვნითი გამოცდის საკითხების/დავალების/აქტივობის ახალი ვარიანტების მომზადება	0.7	1 ნაშრომზე
9	სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება	16	1 სასწავლო კურსზე
10	კურსის კურირება/კოორდინირება	10	1 სასწავლო კურსზე
11	ახალი სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება	52	1 სასწავლო კურსზე

12	ახალი სასწავლო მოდულის მომზადება ¹	120	
13	ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება ² (რაც მოიცავს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შაბლონის შესაბამისად პროგრამის შექმნას და პროგრამის ინიცირებისთვის საჭირო ინფორმაციის წამორდგენას)	320	
14	საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელობა	30	1 ნაშრომზე/პროექტზე
15	საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტიზა	11	1 ნაშრომზე/პროექტზე
16	საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრობა	23	1 ნაშრომზე/პროექტზე

კონსულტაციები - 2 საათი კვირაში.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომელსაც პერსონალი ახორციელებს, როგორც სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელი, მოიცავს უნივერსიტეტის სახელი განხორციელებული პუბლიკაციების ყოველწლიურ მომზადებას, სახელმძღვანელოების თარგმნას, რედაქტირებას, რეცენზირებას, საგრანტო პროექტის მომზადებას, კვლევითი პროექტის განხორციელებას, კვლევაში მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართვასა და მათ ხელმძღვანელობას მათთვის ინდივიდუალური ლექცია-სემინარის ჩატარების გზით, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას ან საკონფერენციო სიტყვის მომზადებას.

№	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	საათი	ერთეული
1	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	50	1 ნაშრომზე
2	სამაგისტრო ნაშრომის ექსპერტიზა	13	1 ნაშრომზე
2	სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე კომისიის წევრობა	15	1 ნაშრომზე
3	სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა	70	1 ნაშრომზე
4	სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში მონაწილეობა	5	1 ნაშრომზე
5	პუბლიკაციის მომზადება	220	1 პუბლიკაცია
6	პუბლიკაციის თარგმნა	1.5	1 გვერდი
7	პუბლიკაციის რედაქტირება	1	1 გვერდი
8	პუბლიკაციების რეცენზირება	0.5	1 გვერდი
9	საგრანტო პროექტის მომზადება	440	1 პროექტი
10	კვლევითი პროექტის განხორციელება	220	1 პროექტი
11	სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება	100	1 კონფერენცია

¹ ასეთი საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორის/რექტორის გადაწყვეტილებით აღნიშნული დავალების შესასრულებლად შესაძლოა განისაზღვროს ერთზე მეტი პირი.

² ასეთი საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორის/რექტორის გადაწყვეტილებით აღნიშნული დავალების შესასრულებლად შესაძლოა განისაზღვროს ერთზე მეტი პირი.

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 იანვრის N 01-20 ოქმით

12	სამეცნიერო კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა	100	1 მოხსენება
----	--	-----	-------------

საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა შეიძლება მოიცავდეს ჩართულობას: საუნივერსიტეტო და სასკოლო მართვის ორგანოებისა თუ კომისიების მუშაობაში, ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის ფუნქციების განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა დაგეგმილ საქმიანობაში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვაში.

№	საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა	საათი	ერთეული
1	სკოლის საბჭოს წევრობა	1	1 საბჭოს სხდომა
2	აკადემიური/წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა	2	1 საბჭოს სხდომა
3	პროგრამის განვითარების საბჭოს წევრობა	1	1 საბჭოს სხდომა
4	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა	180	წელიწადში
5	საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ხელმძღვანელობა	90	წელიწადში
6	პიარ აქტივობებში მონაწილეობა	1	სემესტრში